

შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“ ჯგუფის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო
წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

<i>დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა</i>	
<i>კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</i>	<i>2</i>
<i>კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება</i>	<i>3</i>
<i>კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება</i>	<i>4</i>
<i>კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....</i>	<i>5</i>
<i>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები</i>	<i>6</i>

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მონოლით ჯგუფი“-ს ჯგუფის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მონოლით ჯგუფი“-ს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის-„პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „მონოლით ჯგუფი“-ს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ხელმძღვანელობა არ ახდენს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას, შესაბამისად ჩვენ ვერ დავადგინეთ ასახულია თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გუდვილი 751,472 ლარი რეალური ღირებულებით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და

შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობითი ანგარიშის საქმიანობის მიმოხილვის ნაწილს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას), რომელიც მივიღეთ აუდიტის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაზე, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ავლნიშნავთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნებში არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების

მოდირიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას.

მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, ჯგუფის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და თუ შესაძლებელია წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

ხელმძღვანელობასთან წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაჭონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და


კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის გიორგი გაბათაშვილი

გიორგი გაბათაშვილი SARAS-A-923705

შპს „ლიდ აუდიტი“-ს სახელით

23 სექტემბერი 2023 წელი



შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	მენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	4	1,469,159	1,338,196
გადახდილი ავანსები	5	634,003	779,226
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	5,015,392	3,546,888
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,629,284	5,952,949
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	294,880	81,347
გაცემული სესხები	9	736,225	2,452,973
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9	-	214,441
სულ მიმდინარე აქტივები		13,778,944	14,366,019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	6,653,078	6,745,163
არამატერიალური აქტივები	11	14,415	9,755
გრძელვადიანი გაცემული სესხები	9	3,398,893	-
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები	5	8,937,697	-
გუდვილი	12	751,472	751,472
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,755,555	7,506,391
სულ აქტივები		33,534,499	21,872,410
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	220,553	218,258
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		1,000	280
მიღებული ავანსები	14	462,937	574,723
საგადასახადო ვალდებულებები		0	(0)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		684,490	793,261
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	1,663,115	-
გრძელვადიანი მიღებული ავანსები	14	14,624,561	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16,287,676	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		13,765,628	17,544,569
სულ მფლობელების კაპიტალი		13,765,628	17,544,569
არამაკონტროლებელი წილი		2,796,706	3,534,581
სულ საკუთარი კაპიტალი		16,562,333	21,079,149
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,534,499	21,872,410

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:


შპს "მონოლით ჯგუფი" ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	4	1,469,159	1,338,196
გადახდილი ავანსები	5	634,003	779,226
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	5,015,392	3,546,888
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,629,284	5,952,949
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	294,880	81,347
გაცემული სესხები	9	736,225	2,452,973
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9	-	214,441
სულ მიმდინარე აქტივები		13,778,944	14,366,019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	6,653,078	6,745,163
არამატერიალური აქტივები	11	14,415	9,755
გრძელვადიანი გაცემული სესხები	9	3,398,893	-
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები	5	8,937,697	-
გუდვილი	12	751,472	751,472
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,755,555	7,506,391
სულ აქტივები		33,534,499	21,872,410
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	220,553	218,258
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		1,000	280
მიღებული ავანსები	14	462,937	574,723
საგადასახადო ვალდებულებები		0	(0)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		684,490	793,261
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	1,663,115	-
გრძელვადიანი მიღებული ავანსები	14	14,624,561	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16,287,676	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		13,765,628	17,544,569
სულ მფლობელების კაპიტალი		13,765,628	17,544,569
არამაკონტროლებელი წილი		2,796,706	3,534,581
სულ საკუთარი კაპიტალი		16,562,333	21,079,149
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,534,499	21,872,410

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს
დირექტორი:
ფინანსური მენეჯერი:



შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>მუნიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2022</u> <u>წელი</u>	<u>31 დეკემბერი 2021</u> <u>წელი</u>
ამონაგები	16	2,408,887	11,474,791
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	17	(1,300,721)	(9,637,794)
საერთო მოგება		1,108,166	1,836,997
კომერციული ხარჯები	18	(131,782)	(16,982)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(1,660,589)	(1,325,107)
საოპერაციო მოგება-ზარალი		(684,205)	494,909
საპროცენტო შემოსავალი	20	347,565	193,483
ფინანსური დანახარჯები	21	(83,571)	(14,525)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი		4,915,623	3,779,919
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და გადაფასებებიდან		(2,588,454)	(181,828)
სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი	22	(17,786)	(8,798)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	23	(342,425)	(1,891)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		1,546,747	4,261,268
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება		(909,534)	-
მოგება დაბეგვრის შემდეგ		637,213	4,261,268
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		637,213	4,261,268
განეკუთვნება მფლობელს		477,909.76	3,195,950.87
არამაკონტროლებელი წილი		159,303.25	1,065,316.96

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

		31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
	შენიშვნა	წელი	წელი
ამონაგები	16	2,408,887	11,474,791
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	17	(1,300,721)	(9,637,794)
საერთო მოგება		1,108,166	1,836,997
კომერციული ხარჯები	18	(131,782)	(16,982)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(1,660,589)	(1,325,107)
საოპერაციო მოგება-ზარალი		(684,205)	494,909
საპროცენტო შემოსავალი	20	347,565	193,483
ფინანსური დანახარჯები	21	(83,571)	(14,525)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი		4,915,623	3,779,919
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და გადაფასებებიდან		(2,588,454)	(181,828)
სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი	22	(17,786)	(8,798)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	23	(342,425)	(1,891)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		1,546,747	4,261,268
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება		(909,534)	-
მოგება დაბეგვრის შემდეგ		637,213	4,261,268
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		637,213	4,261,268
განეკუთვნება მფლობელს		477,909.76	3,195,950.87
არამაკონტროლებელი წილი		159,303.25	1,065,316.96

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2022	31/12/2021
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	23,187,355	5,896,337
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(14,564,193)	(4,651,330)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(895,583)	(1,286,184)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(2,644,802)	(1,081,487)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	-	27,015
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(81,956)	(77,756)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>5,000,822</u>	<u>(1,173,405)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოყენებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(103,793)	(8,762)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	240,404	150,000
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	-	415,000
სესხების გაცემა	(2,761,163)	(2,021,686)
გაცემული სესხების დაბრუნება	1,192,735	984,000
მიღებული პროცენტები	5	14,209
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1,431,812)</u>	<u>(467,238)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
არამაკონტროლებელი წილის შევსება	-	300,000
საკუთარი აქციების გამოსყიდვა /გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	-	(415,000)
სესხების აღება	1,953,120	659,900
სესხების დაფარვა	(305,000)	(688,600)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(16,408)	(14,525)
გადახდილი დივიდენდები	(4,896,328)	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(3,264,615)</u>	<u>(158,225)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(173,432)	(158,180)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	130,963	(1,957,048)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1,338,196	3,295,244
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>1,469,159</u>	<u>1,338,196</u>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი: _____

ფინანსური მენეჯერი: _____

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	31/12/2022	31/12/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	23,187,355	5,896,337
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(14,564,193)	(4,651,330)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(895,583)	(1,286,184)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(2,644,802)	(1,081,487)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	-	27,015
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(81,956)	(77,756)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,000,822	(1,173,405)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოყენებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(103,793)	(8,762)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაცვლიდან მიღებული შემოსულობანი	240,404	150,000
გრძელვადიანი ინვესტიციების გაცვლიდან შემოსულობანი	-	415,000
სესხების გაცემა	(2,761,163)	(2,021,686)
გაცემული სესხების დაბრუნება	1,192,735	984,000
მიღებული პროცენტები	5	14,209
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,431,812)	(467,238)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
არამაკონტროლებელი წილის შეესება	-	300,000
საკუთარი აქციების გამოსყიდვა /გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	-	(415,000)
სესხების აღება	1,953,120	659,900
სესხების დაფარვა	(305,000)	(688,600)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(16,408)	(14,525)
გადახდილი დივიდენდები	(4,896,328)	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,264,615)	(158,225)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(173,432)	(158,180)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	130,963	(1,957,048)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1,338,196	3,295,244
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1,469,159	1,338,196

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	14,348,618	14,348,618	2,169,264	16,517,882
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-	300,000	300,000
ქონების გადაფასება	-	-	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	3,195,951	3,195,951	1,065,317	4,261,268
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	17,544,569	17,544,569	3,534,581	21,079,150
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-	-	-
ქონების გადაფასება	-	-	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	477,910	477,910	159,303	637,213
განაწილებული დივიდენდი	-	(4,256,851)	(4,256,851)	(897,178)	(5,154,029)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	13,765,628	13,765,628	2,796,706	16,562,333

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი: _____

ფინანსური მენეჯერი: _____

შპს "მონოლით ჯგუფი" ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში


კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	14,348,618	14,348,618	2,169,264	16,517,882
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-	300,000	300,000
ქონების გადაფასება	-	-	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	3,195,951	3,195,951	1,065,317	4,261,268
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	17,544,569	17,544,569	3,534,581	21,079,150
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-	-	-
ქონების გადაფასება	-	-	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	477,910	477,910	159,303	637,213
განაწილებული დივიდენდი	-	(4,256,851)	(4,256,851)	(897,178)	(5,154,029)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	13,765,628	13,765,628	2,796,706	16,562,333

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ა) ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ჯგუფი შედგება შპს „მონოლით ჯგუფი“-სა (მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიისგან შპს „ემ.ჯი ალიანსი“-სა რომელშიც კომპანია ფლობს 75% წილს. ჯგუფის შექმნის თარიღია: 21/04/2016

შპს „მონოლით ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დაარსდა 2013 წლის 11 ნოემბერს. „კომპანიის“ რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჭიათურის ქუჩა. ფაქტიური მისამართია: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის 47. N4/6. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405017627. „ჯგუფის“ საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რეალიზაცია.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელები:

პაატა ფირცხალაიშვილი (პ/ნ 01017029782) 20%-იანი წილი;

ეკა ფოცხიშვილი (პ/ნ 01015006738) 20%-იანი წილი;

ზვიად დარაბეულიძე (პ/ნ 01012014932) 20%-იანი წილი;

მამუკა ჩირგაძე (პ/ნ 53001011442) 20%-იანი წილი;

ზურაბ ჯულუხიძე (პ/ნ 01009006390) 20%-იანი წილი;

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა პარტნიორები.

მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება.

შპს „მონოლით ჯგუფს“ ყავს ერთი მოქმედი შვილობილი კომპანია რომელთა წილები 2022 წლის 31 დეკემბრის, და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცვლელია.

კომპანიის დასახელება	წილი 31.12.2022	წილი 31.12.2021	საქმიანობის სფერო	საქმიანობის ადგილი	მისამართი	ფუნქციონირებადობა
შპს ემ. ჯი. ალიანსი	75%	75%	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.	საქართველო	ქ. თბილისი, ორთაჭალის ქN77,ბ#18	მოქმედი

შპს „ემ.ჯი ალიანსი“-ს ყავს თავის მხრივ 1 მოქმედი და 1 უმოქმედო შვილობილი კომპანია, რომელთა წილები 2022 წლის 31 დეკემბრის, და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცვლელია.

კომპანიის დასახელება	წილი 31.12.2022	წილი 31.12.2021	საქმიანობის სფერო	საქმიანობის ადგილი	მისამართი	ფუნქციონირებადობა
შპს ემ. ჯი. დეველოპმენტი	100%	100%	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.	საქართველო	ქ. თბილისი, ჭიათურის ქ.#4/6, სართ.11, კ.3, ბ.#66	უმოქმედო
შპს მონოლით ჯგუფი პლუსი	100%	100%	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.	საქართველო	ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #49, ბ.30	მოქმედი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2023 წლის 23 სექტემბერს.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად „ჯგუფი“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის ცვლილებებს. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „ჯგუფი“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის წინასწარ განსაზღვრული შეფასებებისგან.

2. მომზადების საფუძველი და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ, რომელსაც თანმიმდევრულად იყენებს „ჯგუფი“ წინამდებარე ანგარიშგების პერიოდებთან მიმართებით.

2.1 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. „ჯგუფის“ საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „მონოლით ჯგუფი“-სა და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები;

საწარმოთა გაერთიანება- აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი „ჯგუფს“ გადაეცემა. ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისათვის როგორც განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული • იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება). თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში. ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც „ჯგუფი“ გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, სხვა პირობითი გადახდა გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით, ყოველ ანგარიშგების თარიღში და შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

1. არამაკონტროლებელი წილი- შეფასება ხდება წილის მყიდველის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით შესყიდვის თარიღით. შვილობილ კომპანიაში „ჯგუფის“ წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება წილობრივი მონაწილეობის გარიგების სახით.
2. შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს ერთეულს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით

ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კონტროლის მოპოვების მომენტიდან მისი დაკარგვის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელი წილის ზარალი მიკუთვნებულია არამაკონტროლებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით ბალანსს.

3. კონტროლის დაკარგვისას, „ჯგუფი“ წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვით გამოწვეული ნებისმიერი ზედმეტობა ან ნაკლებობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ „ჯგუფი“ შეინარჩუნებს რაიმე სახის წილს შვილობილ კომპანიაში, ამგვარი წილი სამართლიანი ღირებულებით შეფასდება კონტროლის დაკარგვის დღეს. შემდეგ ის აღიარდება როგორც ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში, ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი, შენარჩუნებული გავლენის დონიდან გამომდინარე.

კონსოლიდირებისას გამორიცხული ოპერაციები-შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე შიდაჯგუფური ოპერაციებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი ელიმინირდება. შიდაჯგუფური მოგება, რომელიც წარმოიშვება მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების ოპერაციებიდან, გამოირიცხება ინვესტიციების მიხედვით, „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. შიდაჯგუფური ზარალი გამოირიცხება იგივე ფორმით, როგორც შიდაჯგუფური მოგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს გაუფასურების მტკიცებულება.

თუ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება ვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტერთა საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) შესაბამისად.

ბ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში.

გ) შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

დ) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი. 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 სოფლის მეურნეობა და ფასს 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.

კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3). 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფასს 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით. შესწორება შეეხება გამონაკლისს საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხვდება ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფასიკ 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.

ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (შესწორება - წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 37-ის შესწორება, 68ა პარაგრაფის დამატებით რომელიც აკონკრეტებს ხარჯებს, რომელიც გაითვალისწინება ხელშეკრულების შესრულების ღირებულების განსაზღვრისას, რათა შეფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა წაგებიანი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესწორება გამოიწვევს მეტი ხელშეკრულების აღრიცხვას წაგებიან ხელშეკრულებად, რადგან იზრდება იმ ხარჯების არეალი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს წაგებიანი ხელშეკრულების შეფასებაში.

ბასს 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა რომ მოხდეს აღნიშნულის აქტივის ღირებულებასთან დამატება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

ბ) 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას, იმის შესახებ თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა

სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და

ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად ბასს 12.5-ს დამატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

2.2 სააღრიცხვო პოლიტის ძირითადი მიმართულებები;

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში „ჯგუფი“ ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიას ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად „ჯგუფი“ იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსები	საქ. ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის მიმდინარე გადასახდელი თანხის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში და აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულებების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებებისათვის „ჯგუფი“ იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად: ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მანქანა-დანადგარები	5-10 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-8 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	2-7 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წლამდე
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2 წელი

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ყოველი პერიოდის ბოლოს „ჯგუფი“ აფასებს გაუფასურების ინდიკატორს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხა. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე.. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

კომმპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი

განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივი სასარგებლო მომსახურების ვადა

საბუღალტრო პროგრამა , სასარგებლო მომსახურების წლები 10.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგებაზარალში. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურების შეფასება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს „ჯგუფი“ გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, „ჯგუფი“ აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს

შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის „ჯგუფის“ მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს „ჯგუფი“ მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება იმ სავარაუდო ღირებულებით, რომელიც მოსალოდნელია მიიღოს „ჯგუფმა“ მარაგის გაყიდვიდან გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

„ჯგუფი“ წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენს მარაგების შეფასებას გაუფასურების დადგენის მიზნით, რისთვისაც გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ხდება არალიკვიდური მარაგების ანალიზი და ტარდება ინვენტარიზაციის პროცედურა, ხოლო მოძველებული და ვადაგასული ერთეულები, ასეთის არსებობის

შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო- მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება და თავდაპირველი შეფასება

„ჯგუფი“ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით.

. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების ხდება მონაცემების სამ ეტაპოვანი ანალიზი. კერძოდ

I დონე- იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება,

II დონე- შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ ან ირიბად

III- მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად მონაცემებს..

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან

ზარალში. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტის ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავლი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი

საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივები

„ჯგუფის“ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებადი ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. ისინი შედის მიმდინარე აქტივებში თუ დაფარვის ვადა საანგარიშო თარიღის შემდეგ პერიოდში 12 თვეზე ნაკლებია. სხვა შემთხვევაში

ასეთი აქტივები გრძელვადიანად კლასიფიცირდება. „ჯგუფის“ სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, ბანკებში ვადიან დეპოზიტებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსურ აქტივებს კლასიფიკაცია ხდება :

- შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან
- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან
- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით

კლასიფიკაციის მინიჭება ხდება შემდეგი ორივე ფაქტორის საფუძველზე:

ა) საწარმოს ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს „ჯგუფი“ ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

ფინანსური აქტივი ფასდება „ამორტიზებული ღირებულებით“, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორივე პირობა: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებას, რომლებიც დაკავშირებულია მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდასთან.

ძირითადი თანხა არის ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ხოლო პროცენტი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის

განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

ფინანსური აქტივი ფასდება „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, თუ თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორივე პირობა:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (ამავდროულად რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება

მხარეთა შეთანხმებით ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხარეთა შეთანხმებით გადაისინჯება, ან რაიმე სხვა გზით მოდიფიცირდება და ამგვარი გადასინჯვა ან მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, კომპანიის მიერ ხდება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების გადათვლა და მოგებაში ან ზარალში

აღიარდება მოდიფიცირებით განპირობებული შედეგი. მთლიანი საბალანსო ღირებულება გამოთვლება, როგორც გადასინჯული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია მოცემული ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან გადახდილი საკომისიოთი კორექტირდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივი დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მაძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

„ჯგუფი“ ზარალის რეზერვს აღიარებს შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებულ, ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს „ჯგუფის“ მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, „ჯგუფი“ ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, „ჯგუფი“ ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მაძილზე მოსალოდნელ ზარალს.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა

შემთხვევაში - მოგება ზარალში. ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება- ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ „ჯგუფი“ ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას. ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.

სავაჭრო მოთხოვნებს „ჯგუფი“ აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით. მისი გაუფასურების განსაზღვრისთვის „ჯგუფი“ იყენებს გამარტივებულ მიდგომას და გაუფასურებას განსაზღვრავს მისი მთელი სასიცოცხლო ციკლის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურებული ზარალი აღიარდება ინდივიდუალური მიდგომით, როდესაც ამგვარი მიდგომით უფრო საიმედო შეფასება ხდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

გაცემული სესხებისთვის „ჯგუფი“ გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც უტოლდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო

ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ „ჯგუფი“ განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როცა შეფასებით ვლინდება, რომ

- მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან
- სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და

უკუგება ან საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

თუ გადაცემის შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება მთლიანად წყდება, მაგრამ გადაცემის შედეგად „ჯგუფი“ იღებს ახალ ფინანსურ აქტივს, ახალ ფინანსურ ვალდებულებას, ან მომსახურების ვალდებულებას, მაშინ ის ახალ ფინანსური აქტივს, ფინანსური ვალდებულებას ან მომსახურების ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივის აღიარების მთლიანად შეწყვეტისას, მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდება სხვაობა:

- საბალანსო ღირებულებასა (განსაზღვრული აღიარების შეწყვეტის თარიღისთვის); და
- მიღებულ ანაზღაურებას (ნებისმიერი ახალი აქტივის ჩათვლით, რომელსაც გამოკლებული აქვს ახლად აღებული ვალდებულება) შორის.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, გარდა

- ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;
- ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა. ამგვარი ვალდებულებების შესაფასებლად „ჯგუფი“ აღიარებს გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსავალსა და ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი ხარჯს
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებისა. ასეთ დროს „ჯგუფი“ შემდგომში შეფასებისას აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვისა და

თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებას შორის უდიდეს თანხას გამოკლებული, ფასს 15-ის პრინციპების შესაბამისად აღიარებული შემოსავლის მთლიანი ოდენობა, როდესაც შესაფერისია.

- მყიდველი საწარმოს პირობითი კომპენსაციისა, რომელიც დაკავშირებულია ფასს 3-ის მოქმედების სფეროში მყოფ საწარმოთა გაერთიანებასთან. ამგვარი პირობითი კომპენსაცია შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. მოთხოვნა

კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

გაცემული სესხები

სესხები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუფასურების რეზერვით .

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრები. რეალური ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარულ თანხას შორის მოგება-ზარალში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების პერიოდში.

საიჯარო ვალდებულებები

ხელშეკრულების დადებისას, „ჯგუფი“ განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, „ჯგუფი“ ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომელთა ვადაც 12 თვე ნაკლებია.

საწესდებო კაპიტალი

„ჯგუფის“ საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება, მაშინ, როცა მტკიცდება „ჯგუფის“ უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდია, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება

ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ურთიერთჩათვლა- ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფს“ აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

საპროცენტო შემოსავლები

ფინანსური აქტივებიდან მისაღები საპროცენტო შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და მისი შეფასება არის შესაძლებელი. საპროცენტო შემოსავალი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდიანებას ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებამდე.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

„ჯგუფი“ საკუთარი ძალებით ახდენს საცხოვრებელი ბინების მშენებლობასა და რეალიზაციას. რეალიზაციისას, კონტროლის უფლების გადაცემა გულისხმობს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის შემდგომაც „ჯგუფი“ გადასცემს საკუთრების უფლებას და ადასტურებს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას, რაც ფიქსირდება მხარეთა შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებით.

როდესაც ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, „ჯგუფი“ ვალდებულია აღიაროს ინდივიდუალურ და ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო აქტივი ან ვალდებულება.

სახელშეკრულებო აქტივები. როდესაც „ჯგუფი“ მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, „ჯგუფი“ გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან „ჯგუფის“ უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღიარდება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოდგენენ „ჯგუფის“ ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც „ჯგუფს“ მიღებული აქვს კომპენსაცია.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

კონტრაქტის ბუნებიდან გამომდინარე შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტის აღიარდება მაშინ, თუ სარწმუნოა შედეგის მიღება, კერძოდ, შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამშენებლო საქმიანობის დასრულების ეტაპების მიხედვით. საკონტრაქტო სამუშაოების ცვლილება, სხვადასხვა სახის პრეტენზიები და წამახალისებელი გადახდები გაითვალისწინება მაშინ, თუ მათი ოდენობის გაზომვა სარწმუნოა შესაძლებელი. როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდის შეფასება სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, საკონტრაქტო შემოსავალი

აღიარდება იმ ხარჯების ოდენობით, რომელთა ამოღებაც სავარაუდოა. საკონტრაქტო ხარჯები ასეთად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში. როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯი საკონტრაქტო შემოსავალს გადააჭარბებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად. როდესაც კონკრეტულ მომენტამდე გაწეული საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამი, აღიარებული ზარალის გამოკლებით აჭარბებს შუალედურ ანგარიშებს, სიჭარბეს „ჯგუფი“ უჩვენებს როგორც საკონტრაქტო სამუშაოებიდან კლიენტებისგან მიღებულ თანხას. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, სადაც შუალედური ანგარიშები აჭარბებს ამ მომენტამდე გაწეულ საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამს, აღიარებული ზარალის გამოკლებით, სიჭარბეს „ჯგუფი“ უჩვენებს, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებისათვის კლიენტებისთვის გადასახდელ თანხებს. სამუშაოს ჩატარებამდე მიღებული თანხები ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ და ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის, როგორც ვალდებულება, როგორც მიღებული ავანსები. ჩატარებული და დარიცხული სამუშაო, რომელიც კლიენტის მიერ ჯერ არ ანაზღაურებულა, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ და ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის როგორც სამშენებლო მოთხოვნა.

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და უფლების გადაცემის მომენტში, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს არც ეფექტური კონტროლი რეალიზებულ საქონელზე და აღარც ის მართვითი მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნივთის ფლობასთან;
- შემოსავლის ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი.

კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. „ჯგუფი“ მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მისი ამორტიზირება თორმეტ თვეზე დიდი პერიოდის განმავლობაში. კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი. კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებში არსებითად მნიშვნელოვანია გაყიდვის საკომისიო დანახარჯები.

საიჯარო შემოსავალი. თუ „ჯგუფი“ არის მეიჯარე, ისეთ იჯარაში, რომლითაც მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარისგან კომპანიას არ გადაეცემა, წლის საიჯარო გადასახადები იჯარის ვადის განმავლობაში აღირიცხება მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის ის სავალდებულო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მეიჯარე თანახმაა, იჯარით მიიღოს აქტივი და აქვს უფლება, მოითხოვოს იჯარის გაგრძელება დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისში საკმარისად ცხადია, რომ მეიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება პროპორციის საფუძველზე აღიარებული შემოსავლის მიხედვით.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასის ხარჯი და მასთან დაკავშირებული ბენეფიტები

ხელფასი, გასამრჯელო, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დარიცხვას ექვემდებარება იმ საანგარიშგებო პერიოდში როცა „ჯგუფმა“ მიიღო მომსახურება მისი თანამშრომლისგან. „ჯგუფი“ არ ახდენს გამოუყენებელი შვებულებების დარეზერვებას, იმის გათვალისწინებით, რომ კალენდარული წლის გამოუყენებელი შვებულებების მომავალ პერიოდში გამოყენების უფლებას არ განიხილავს.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფს“ აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

„ჯგუფი“ ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ქვემოთ მოცემულია ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

„ჯგუფი“ გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება, კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

2022 წელსა და შესაბამის პერიოდებში მენეჯმენტს სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება არ განუხორციელებია.

კომპანია სამშენებლო საქმიანობიდან შემოსავალს აღიარებს ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელსეკრულებებიდან“ მიხედვით, თითოეული სამშენებლო კონტრაქტისათვის სამუშაოს ფიზიკური წილის დასრულების განსაზღვრით. ხელმძღვანელობა კონტრაქტის დასრულების ეტაპს აფასებს საანგარიშო დღეს დასრულებული სამუშაოს ერთეულებისა და მთელი კონტრაქტის დასასრულებლად საჭირო სამუშაოს ერთეულების რაოდენობის შეფასების საფუძველზე.

გადასახადები საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და მისი ცალკეული მუხლების ბუნდოვანება, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს, რის გამოც საგადასახადო ორგანოებმა შემოწმებისას

შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ ცალკეული გარიგებები და ოპერაციები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს საგადასახადო შემოწმებისას შესაძლო ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის რისკები, იყენებს რა მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული გაანგარიშებები ადეკვატურია ყველა არააუდირებული წლისათვის, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს საგადასახადო შემოწმებისას გარკვეული დამატებითი საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნას.

მომველებული და ვადაგასული მარაგების რეზერვი -გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული და ტექნოლოგიების ცვლილების შედეგად მომველებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით.

სასამართლო დავები. „ჯგუფი“ აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, როცა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გადაცემის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის „ჯგუფი“ განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს იმ მიზნით, რომ შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები და პოტენციური მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, რისთვისაც ხელმძღვანელობა განიხილავს იურიდიული მრჩევლების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ეფუძნება მსგავსი საქმეების წარმოების გამოცდილებასა და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებას დავაზე, საჩივარსა და გარჩევაზე რეაგირებაზე.

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი	31/12/2022	31/12/2021
ფული სალაროს ანგარიშზე	5,351	100,037
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	102,541	61,023
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე(დოლარი)	1,361,267	1,177,136
სულ	1,469,159	1,338,196

შენიშვნა 5

გადახდილი ავანსები	31/12/2022	31/12/2021
მომწოდებელზე და მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	865,888	779,226
გაუფასურების ზარალი	(231,884)	
მომწოდებელზე და მომსახურებაზე გადახდილი ავანსები გრძელვადიანი ნაწილი	8,937,697	-
სულ	9,571,701	779,226

ანგარიშებაში ასახული ავანსები (როგორც გაცემული, ასევე მიღებული) ასახულია დღ-ს გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვერ ხდება აღნიშნულ ოპერაციაზე დღ-ს ჩათვლა.

შენიშვნა 6

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31/12/2022	31/12/2021
მზა პროდუქცია	3,701,137	3,539,752
ნედლეული და მასალები	1,197	1,460
დაუმთავრებელი წარმოება	1,305,903	-
სხვა მარაგები	7,155	5,677
სულ	5,015,392	3,546,888

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს ყველა იმ დანახარჯს, რომელიც გაიწია მათ შესაძენად და დანიშნულების ადგილამდე მოსატანად. დაუმთავრებელი მშენებლობა (წარმოება) გარდა აღნიშნული დანახარჯებისა მოიცავს აგრეთვე გაუნაწილებელ საწარმოო ზედნადებ ხარჯებსა და იმ მუშახელის შრომის ანაზღაურებას, რომელთა შრომაც დაკავშირებულია უშუალოდ საწარმოო საქმიანობასთან.

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნები	5,745,101	5,972,001
საკრედიტო ანარიცხების რეზერვი	(115,818)	(19,052)
სულ	5,629,284	5,952,949

„ჯგუფი“ სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას, კერძოდ, აფასებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს. ამისათვის სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის ხარისხის განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს თავდაპირველი აღიარების დღიდან საანგარიშო დღემდე კონტრაგენტის საკრედიტო ხარისხის ყველა ცვლილებას. პერიოდი იყო 30 დღე. სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის ხარისხის განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს თავდაპირველი აღიარების დღიდან საანგარიშო დღემდე კონტრაგენტის საკრედიტო ხარისხის ყველა ცვლილებას. საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარმოდგენილი ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, რომელიც კორექტირებულია პროგნოზირებადი ინფორმაციით.

ლარი	სულ	ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	სულ	ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე
დებიტორული დავალიანების ვადანობა	31/12/2022	31/12/2022	31/12/2021	31/12/2021
ვადაგადაცილების გარეშე	5,628,648		5,952,949	
0-30 დღე				
30-60 დღე				
60-90 დღე	636			
90 დღეზე მეტი	115,818	(115,818)	19,052	(19,052)
		-		-
	5,745,101	(115,818)	5,972,001	(19,052)

შენიშვნა 8		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	31/12/2022	31/12/2021
ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები	294,880	81,347
სულ	294,880	81,347

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 9

გაცემული სესხები	31/12/2022	31/12/2021
გაცემული სესხი	749,535	2,452,973
გრძელვადიანი გაცემული სესხები	3,399,358	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხები	(13,776)	-
სულ	4,135,118	2,452,973

გაცემულ სესხზე მისაღები პროცენტი	-	214,441
	-	
სულ	-	214,441

გაცემული სესხები	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენ ტო განაკვეთი	31/12/2022	31/12/2021
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	31/12/2021	12.00%	23,284	1,228,277
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	USD	31/08/2026	6.50%	2,182,146	-
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	19/02/2027	12.90%	60,399	
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	31/12/2021	12.00%	665,463	594,845
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	31/12/2022	12.00%	43,213	
არაუზრუნველყოფილი სესხები					
არადაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	31/12/2022	12.00%	17,575	15,735
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	20/09/2026	12.90%	603,704	821,484
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	28/02/2027	12.90%	239,030	
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	08/06/2027	12.90%	97,070	
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	30/12/2027	12.90%	170,162	
არაუზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარის მიმართ	GEL	04/07/2027	12.90%	46,383	
				4,148,428	2,660,341

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

<u>გაცემული სესხის ამორტიზირებული ღირებულება 31/12/2020</u>	<u>1,459,476</u>
სესხის გაცემა	2,021,184
დაფარვა	(984,000)
პერიოდის საპროცენტო შემოსავალი	170,702
საკრედიტო ზარალი	-
ფინანსური ხარჯი	-
გადაფასება	(7,021)
<u>გაცემული სესხის ამორტიზირებული ღირებულება 31/12/2021</u>	<u>2,660,341</u>
სესხის გაცემა	2,761,163
დაფარვა	(1,192,735)
პერიოდის საპროცენტო შემოსავალი	317,171
საკრედიტო ზარალი	(13,310)
ფინანსური ხარჯი	(51,111)
გადაფასება	(346,401)
<u>გაცემული სესხის ამორტიზირებული ღირებულება 31/12/2022</u>	<u>4,135,118</u>

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 10 ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი	მანქანა დანადგარები	ავტო და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,568,011	207,532	42,100	100,252	20,202	13,500	6,951,597
შემოსვლა 2021 წელს	736,659	383	305	8,041	267	-	745,656
გასვლა 2021 წელს	(645,668)	-	-	-	-	-	(645,668)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,659,003	207,916	42,405	108,293	20,470	13,500	7,051,586
შემოსვლა 2022 წელს	-	-	-	8,880	209,592	-	218,472
გასვლა 2022 წელს	(279,581)	-	-	-	(5,729)	-	(285,310)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,379,421	207,916	42,405	117,173	224,333	13,500	6,984,747
ცვეთა გაუფასურება					-		-
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(196,935)	(21,779)	(43,728)	(9,206)	(5,041)	(276,689)
დარიცხვა 2021 წლის განმავლობაში	-	(4,032)	(2,790)	(18,746)	(2,817)	(1,348)	(29,733)
გასვლა 2021 წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(200,967)	(24,569)	(62,474)	(12,023)	(6,389)	(306,422)
დარიცხვა 2022 წლის განმავლობაში	-	(3,602)	(2,499)	(18,822)	-	(1,079)	(26,003)
გასვლა 2022 წლის განმავლობაში	-	-	-	-	756	-	756
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(204,569)	(27,069)	(81,296)	(11,267)	(7,468)	(331,669)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2021 წელი	6,568,011	10,597	20,321	56,524	10,996	8,459	6,674,908
31 დეკემბერი 2021 წელი	6,659,003	6,949	17,835	45,819	8,446	7,111	6,745,163
31 დეკემბერი 2022 წელი	6,379,421	3,346	15,336	35,877	213,066	6,032	6,653,078

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 11 არამატერიალური აქტივები	სასაქონლო ნიშანი	საბუღალტრო პროგრამა	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,594	3,119	8,424	14,136
შემოსვლა 2021 წელს				-
გასვლა 2021 წელს				-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,594	3,119	8,424	14,136
შემოსვლა 2022 წელს		3,444		3,444
გასვლა 2022 წელს				-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,594	6,563	8,424	17,580
ცვეთა გაუფასურება				-
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(580)	(3,306)	(3,886)
დარიცხვა 2021 წლის განმავლობაში	-	(195)	(300)	(495)
გასვლა 2021 წლის განმავლობაში				-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(775)	(3,606)	(4,381)
დარიცხვა 2022 წლის განმავლობაში		(195)	(241)	(436)
გასვლა 2022 წლის განმავლობაში			1,652	1,652
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(971)	(2,195)	(3,166)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2021 წელი	2,594	2,539	5,118	10,251
31 დეკემბერი 2021 წელი	2,594	2,344	4,818	9,755
31 დეკემბერი 2022 წელი	2,594	5,593	6,229	14,415

შპს „მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 12

გუდვილი	31/12/2022	31/12/2021
გუდვილი	751,472	751,472
სულ	751,472	751,472

შპს „ემ ჯი ალიანსს“ შპს „მონოლით ჯგუფი“-ს შვილობილ კომპანიას განხორციელებული აქვს შპს „მონოლითი ჯგუფი პლუსში“ 6 965 829 ლარის ინვესტიცია. ამ პერიოდისათვის კომპანიის კაპიტალის ღირებულება შეადგენდა 6 214 357 ლარს. რამაც წარმოშვა დადებითი გუდვილი 751 472 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	220,553	218,258
სულ	220,553	218,258

შენიშვნა 14

მიღებული ავანსები	31/12/2022	31/12/2021
მყიდველებისაგან მიღებული ავანსები	462,937	574,723
მყიდველებისაგან მიღებული ავანსები გრძელვადიანი	14,624,561	
სულ	15,087,497	574,723

მყიდველებისგან მიღებული ავანსები კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებში, რადგან „ჯგუფი“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას 12 თვეზე ნაკლებ დროს მოანდომებს. მიღებული ავანსები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 15

გრძელვადიანი სესხები	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი სესხი	1,663,115	-
სულ	1,663,115	-

მიღებული სესხები	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31/12/2022	31/12/2021
საქართველოს ბანკი	USD	03/11/2025	6 თვიანი Term SOFR განაკვეთს+7%, არანაკლებ 7.45%	1,080,497	
საქართველოს ბანკი	USD	03/11/2025	6 თვიანი Term SOFR განაკვეთს+7%, არანაკლებ 7.45%	538,031	
სესხები დამფუძნებლებისგან და სხვა სესხები	GEL	20/02/2025	12.90%	44,587	
სულ				1,663,115	=

შენიშვნა 16

ამონაგები	31/12/2022	31/12/2021
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	2,195,166	11,447,782
შემოსავალი მასალების გაყიდვიდან	-	5,084
სხვა შემოსავალი	213,720	21,925
სულ	2,408,887	11,474,791

შენიშვნა 17

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	31/12/2022	31/12/2021
სამშენებლო კონტრაქტის თვითღირებულება	1,300,721	9,635,454
გაყიდული მასალების თვითღირებულება		2,340
სულ	1,300,721	9,637,794

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 18

კომერციული ხარჯები	31/12/2022	31/12/2021
მარკეტინგის ხარჯები	131,782	16,982
სულ	131,782	16,982

შენიშვნა 19

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	31/12/2022	31/12/2021
ხელფასი	969,181	1,038,450
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	31,666	35,496
ცვეთა/ამორტიზაცია	26,440	30,228
იჯარა	19,097	49,598
დაზღვევის ხარჯები	837	3,874
კომუნალური ხარჯი	8,618	26,664
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	459,802	70,606
საბანკო მომსახურების ხარჯი	11,320	27,361
საპენსიო ხარჯი	9,808	17,225
სამშენებლო ტექნიკური ხარჯები	58,435	
სხვა ხარჯები	65,386	25,604
სულ	1,660,589	1,325,107

შენიშვნა 20

საპროცენტო შემოსავალი	31/12/2022	31/12/2021
გაცემული სესხისგან მიღებული პროცენტი	347,565	193,483
სულ	347,565	193,483

შენიშვნა 21

ფინანსური დანახარჯები	31/12/2022	31/12/2021
გადახდილი სესხის პროცენტი	83,571	14,525
სულ	83,571	14,525

შპს “მონოლით ჯგუფი” ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 22

სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი	31/12/2022	31/12/2021
საშემოსავლო შეღავათი		25,322
კონვერტაციის ხარჯი		(17,227)
სხვა ხარჯი	(20,929)	(17,913)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3,143	1,020
სულ	(17,786)	(8,798)

შენიშვნა 23

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	31/12/2022	31/12/2021
სესხების და მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	110,541	1,891
სხვა აქტივების გაუფასურება	231,884	-
სულ	342,425	1,891

24. კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრისათვის მფლობელის კაპიტალმა შეადგინა 13,765,628 ლარი, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისათვის მფლობელის კაპიტალმა შეადგინა 17,544,569 ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არამაკონტროლებელმა წილმა შეადგინა 2,796,706 ლარი, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არამაკონტროლებელმა წილმა შეადგინა 3,534,581 ლარი. 2022 წელს ჯგუფმა დივიდენდები გამოაცხადა და გაანაწილა მფლობელებზე - 4,256,851 ლარი, ხოლო არამაკონტროლებელზე - 897,178 ლარი.

ჯგუფის დამფუძნებლები არიან პაატა ფირცხალაიშვილი 20%-იანი წილი; ეკა ფოცხიშვილი 20%-იანი წილი; ზვიად დარახველიძე 20%-იანი წილი; ზურაბ ჯულუხიძე 20%-იანი წილი; მამუკა ჩირგაძე 20%-იანი წილი; კომპანიაში 2018 წლის 25 ივლისს განხორციელდა პარტნიორის ცვლილება; დავით ლეკვეიშვილი (პ/ნ 01009019498) 20% წილი გაასხვისა და პარტნიორი გახდა ზურაბ ჯულუხიძე.

25. რისკების მართვა

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო რისკი.
- ლიკვიდურობის რისკი;

(i) *რისკის მართვის სისტემა*

ჯგუფის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და კონტროლების დასადგენად, ასევე რისკის და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გათვალისწინებით. კომპანია ტრენინგებით, მმართველობითი სტანდარტებით და პროცედურებით მიზნად ისახავს, რომ განავითაროს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა დასაქმებული გააცნობიერებს მის როლსა და მოვალეობებს.

მფლობელები ზედამხედველობენ თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მონიტორინგი კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკას და პროცედურებს და მიმოიხილავს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე არსებულ რისკებთან დაკავშირებით.

(ii) *საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანებისთავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გაცემული სესხები	4,135,118	2,667,414
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,629,284	5,952,949
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	1,469,159	1,338,196
სულ ფინანსური აქტივები	11,233,561	9,958,558

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული სესხები	1,663,115	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	220,651	218,258
სულ ფინანსური ვალდებულებები	220,651	218,258

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებულის მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს რომ მის საბანკო ნაშთებს და ვადიან ანაბრებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგების მიხედვით.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებული იყო საქართველოს წამყვან ბანკებში, რეიტინგის (Fitch) მიხედვით, დეფოლტის მოკლევადიანი B შეფასებით. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეასრულებს მიერ ნაკისრ ვალდებულებას და, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ კომპანია მნიშვნელოვნად არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას, კერძოდ, აფასებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს. ამისათვის სავაჭროვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

გაცემული სესხები

ჯგუფის პოლიტიკაა გასცეს სესხები მის დაკავშირებულ და არადაკავშირებულ მხარეებზე. კომპანია არ მოითხოვს უზრუნველყოფას სესხებთან მიმართებაში. კომპანია არ მიიჩნევს, რომ კონტრაქტები ვერ შეასრულებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

ხელმძღვანელობამ შეაფასა სესხების გაუფასურება თითოეული იურიდიული პირის ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით. თითოეულ კომპანიას საკუთარი დეფოლტის ალბათობა აქვს მის ფინანსური მდგომარეობისა და მომავალში განსახორციელებელი გადახდების მოლოდინების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი გამოითვლება თითოეული კონტრაქტისთვის, კონტრაქტების ვადაგადაცილებების სტატუსის, გარე საკრედიტო რეიტინგის, მიმდინარე პირობების მიხედვით და კომპანიის ხედვის მიხედვით თუ როგორი იქნება ეკონომიკური პირობები სასესხო მოთხოვნების მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში და მათი დაფარვის გზების შესახებ.

iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი

ჯგუფის წინაშე არსებობს სავალუტო რისკი, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებითაც ამონაგები, შესყიდვები და სესხებია დენომინირებული და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიას აქვს განფენილობა სავალუტო რისკის მიმართ ამონაგებთან, შესყიდვებთან და სესხებთან მიმართებით, რადგან ისინი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისგან.

ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკი არის შემდეგნაირად გამოხატული ეროვნულ ვალუტაში:

	31/12/2022			31/12/2021		
	USD	EUR	სულ	USD	EUR	სულ
გაცემული სესხები	2,182,146		2,182,146			-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,642,878		5,642,878	5,873,495		5,873,495
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	1,361,241	26	1,361,267	1,177,104	32	1,177,136
მიღებული სესხები	(1,618,528)		(1,618,528)			-
წმინდა განფენილობა	7,567,737	26	7,567,763	7,050,599	32	7,050,631

შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლის კურსები გამოიყენებოდა წლის განმავლობაში:

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის	
	2022	2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აშშ დოლარი	2.9156	3.2209	2.7020	3.0976
ევრო	3.0792	3.8140	2.8844	3.5040

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გამყარება (გაუფასურება), როგორც ქვემოთაა მითითებული, უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და წმინდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები თანხების მიხედვით. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები უცვლელია და უგულებელყოფს პროგნოზირებადი გაყიდვებისა და შესყიდვების გავლენას.

	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი 2022		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	756,774	-756,774
31 დეკემბერი 2022		
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	3	-3
31 დეკემბერი 2021		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	705,060	-705,060
31 დეკემბერი 2021		
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	3	-3

(iv) **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანიის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ სიტუაციაში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანიას არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

ლიკვიდურობის რისკის მიმართ განფენილობა

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის ფინანსური ვალდებულებების საკონტრაქტო ვადიანობა. თანხები საერთო მოცულობითაა წარმოდგენილი და არადისკონტირებულია, და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და არ ითვალისწინებს ხელშეკრულებების ურთიერთჩათვლის გავლენას.

31/12/2022

	საბალანსო დირებულება	საკონტრაქტო ფულადი ნაკადები სულ	1 წლამდე	1 წელზე მეტი
გაცემული სესხები	4,135,118	5,891,181	676,122	5,215,059
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,629,284	5,629,284	5,629,284	
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	1,469,159	1,469,159	1,469,159	
სულ ფინანსური აქტივები	11,233,561	12,989,624	7,774,565	5,215,059
მიღებული სესხები	1,663,115	2,214,186	192,771	2,021,415
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	220,651	220,651	220,651	
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,883,766	2,434,837	413,422	2,021,415
ლიკვიდობის წმინდა პოზიცია			<u>7,361,143</u>	<u>3,193,644</u>
აკუმულირებული ლიკვიდობის სხვაობა			<u>10,554,787</u>	

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

31/12/2021

	საბალანსო დირიჟება	საკონტრაქტო ფულადი ნაკადები სულ	1 წლამდე	1 წელზე მეტი
გაცემული სესხები	2,667,414	5,931,329	1,645,686	4,285,643
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,952,949	5,952,949	5,952,949	
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	1,338,196	1,338,196	1,338,196	
სულ ფინანსური აქტივები	9,958,558	13,222,474	8,936,831	4,285,643
მიღებული სესხები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	218,258	218,258	218,258	
სულ ფინანსური ვალდებულებები	218,258	218,258	218,258	-
ლიკვიდობის წმინდა პოზიცია			8,718,573	4,285,643
აკუმულირებული ლიკვიდობის სხვაობა			13,004,216	

26. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

27. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელ ი	მშობელ ი საწარმო	საერთო დამფუძნებლები ს მქონე ორგანიზაციები	სათაო საწარმოს წილის მფლობელებ ი	სხვაგვარად დაკავშირებულ ი მხარე
გაცემული დივიდენდი	897,178				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები			1,377,109		
სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ი დავალიანებები			77,864	299	4,271,769
გაცემული სესხი			2,822,660		1,156,348
მისაღები პროცენტი			151,845		
გაყიდვები					5,195,205

შპს “მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შესყიდვები	17,655	9,003,000
პერსონალის დანახარჯი	150,922	30,755

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელ ი	მშობელ ი საწარმო	საერთო დამფუძნებლები ს მქონე ორგანიზაციები	სათაო საწარმოს წილის მფლობელებ ი	სხვაგვარად დაკავშირებულ ი მხარე
კაპიტალი	300,000				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები			1,720,012	299	4,330,694
სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ი დავალიანებები			77,933		
გაცემული სესხი			1,637,973		828,557
მისაღები პროცენტი			187,274		
გაყიდვები			3,536,344		4,245,948
შესყიდვები			64,276		
პერსონალის დანახარჯი	575,518			51,250	37,263

შპს „მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე შპს „მონოლით ჯგუფი“-ს გაცემული აქვს 156,562 ლარი სესხი, დაბრუნებული აქვს გაცემული სესხი 749,576.43 ლარის ოდენობით.

შპს „მონოლით ჯგუფი“-ს განაწილებული აქვს დივიდენდი 2,317,521.06.

ფირცხალაიშვილი პაატა 463,504.22 ლარი; ჯულუხიძე ზურაბ 463,504.22 ლარი; დარახველიძე ზვიად 463,504.22 ლარი; ჩირგაძე მამუკა 463,504.21 ლარი; ფოცხიშვილი ეკა 463,504.21 ლარი.

შპს „ემ.ჯი ალიანსი“-მა კრების ოქმის საფუძველზე დამფუძნებლებზე გამოაცხადა დივიდენდი: ირაკლი დარახველიძე: 359,474.72 (განაწილებულია 284,516.89).

შპს „ემ.ჯი ალიანსი“-ს 2023 წლის განმავლობაში დაუბრუნეს გაცემული სესხი 38,000 ლარის ოდენობით.

შპს „მონოლით ჯგუფი პლუსი“-ს აღებული აქვს სესხი 15,756,771.03 ლარი, ხოლო დაფარული აქვს სესხი 5,771,043.92 ლარი.

შპს „მონოლით ჯგუფი პლუსი“-ს გაცემული აქვს სესხი 522,000 ლარი, და გაცემული სესხებიდან დაბრუნებული აქვს 1,195,700 ლარი.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს „მონოლით ჯგუფი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე შპს „მონოლით ჯგუფი“-ს გაცემული აქვს 156,562 ლარი სესხი, დაბრუნებული აქვს გაცემული სესხი 749,576.43 ლარის ოდენობით.

შპს „მონოლით ჯგუფი“-ს განაწილებული აქვს დივიდენდი 2,317,521.06.

ფირცხალაიშვილი პაატა 463,504.22 ლარი; ჯულუხიძე ზურაბ 463,504.22 ლარი; დარახველიძე ზვიად 463,504.22 ლარი; ჩირგაძე მამუკა 463,504.21 ლარი; ფოცხიშვილი ეკა 463,504.21 ლარი.

შპს „ემ.ჯი ალიანსი“-მა კრების ოქმის საფუძველზე დამფუძნებლებზე გამოაცხადა დივიდენდი: ირაკლი დარახველიძე: 359,474.72 (განაწილებულია 284,516.89).

შპს „ემ.ჯი ალიანსი“-ს 2023 წლის განმავლობაში დაუბრუნეს გაცემული სესხი 38,000 ლარის ოდენობით.

შპს „მონოლით ჯგუფი პლუსი“-ს აღებული აქვს სესხი 15,756,771.03 ლარი, ხოლო დაფარული აქვს სესხი 5,771,043.92 ლარი.

შპს „მონოლით ჯგუფი პლუსი“-ს გაცემული აქვს სესხი 522,000 ლარი, და გაცემული სესხებიდან დაბრუნებული აქვს 1,195,700 ლარი.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს „მონოლით ჯგუფი“-ის ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის:

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარებას და მდგომარეობას, აღწერს ძირითად რისკებს და გზებს როგორ შეიძლება ამ რისკებმა გავლენა იქონიოს სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე, წარმოგიდგენს სუბიექტის წარსული საქმიანობის ანალიზს; ასახავს ინფორმაციას სუბიექტის ხელმძღვანელი პირების სტრუქტურას და მის შესაბამისობას სუბიექტის მიზნების განხორციელებისთვის.; წარმოადგენს ინფორმაციას სუბიექტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, აღწერს დასაქმებასთან ადამიანის უფლებებს, პატივისცემას და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებულ მიდგომებს. ანგარიში წარმოგიდგენს საწარმოს საქმიანობის მიმდინარე და სამომავლო გეგმების ინფორმაციას; აგრეთვე ანალიტიკურ ინფორმაციას იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს საქმიანობაზე.

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს მონოლით ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. შპს მონოლით ჯგუფში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

კომპანიის შესახებ

შპს მონოლით ჯგუფი შეიქმნა 2013 წელს. მას შემდეგ, ქალაქ თბილისის მასშტაბით წარმატებით ახორციელებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობას და გაყიდვებს. კომპანიამ არსებობის ამ ხნის მანძილზე შეძლო ქართული სამშენებლო ბაზარზე თავის დამკვიდრება, როგორც სანდო და მომხმარებლის მოთხოვნაზე მაქსიმალურად მორგებულმა ჯგუფმა. კომპანია ასრულებს

სამშენებლო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოების სრულ პაკეტს. 2016 წლიდან კომპანიამ გააფართოვა საქმიანობა და დააფუძნა შპს „ემ ჯი ალიანსი“ 75%-იანი წილით.

კომპანია ორიენტირებულია სერვისის სისწრაფესა და უსაფრთხოებაზე, რაც მთავარი ფაქტორია მომხმარებელთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის. ამასთან, კომპანია ისწრაფის დანერგოს ინოვაციური ინფრასტრუქტურა და მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ და მზარდ ტენდენციებს, რაც მიზნად ისახავს მომხმარებელთათვის მაქსიმალურად გამარტივებული და ეფექტური სერვისის შეთავაზებას.

მდებარეობს და მისი ფაქტ მისამართია: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის 30.

საქმიანობის მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ შპს „მონოლით ჯგუფი“ პროფესიონალთა გუნდია, რომელთა ხელმძღვანელობითა და თანამონაწილეობით აშენებულია და აღდგენილია მრავალფუნქციური კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ლაბორატორიები, ბანკები და სხვა. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი ყვარელში და, ასევე, ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. გარდა ამისა, 2017 წელს „მონოლით ჯგუფმა“ დააფინანსა ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, 2016 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული თამარ მეფის ფრესკის და კედლის მხატვრობის სარესტავრაციო და აღდგენითი სამუშაოების პირველი ეტაპი.

შპს მონოლით ჯგუფი წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას, რომელსაც 2013 წლიდან განხორციელებული აქვს რიგი პროექტები, როგორცაა ნუცუბიძის ტყუპები, საცხოვრებელი სახლი ქავთარაძეზე, მონოლითი საბურთალო, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი კალანდაძეზე.

2022 წლიდან შპს მონოლით ჯგუფის შვილობილმა კომპანიებმა შპს „მონოლით ჯგუფი პლუსი“ და შპს ემ ჯი ალიანსმა დაიწყეს ნადიკვარზე ახალი პროექტის მშენებლობას, რომლის სამშენებლო ფართობია 45000 კვ.მ. აღნიშნული პროექტი არის გრძელვადიანი და სამშენებლო სამუშაოები გაწერილია 45 კალენდარულ თვეზე.

სამომავლო გეგმები

ჩვენი მიზანია, ქართულ სამშენებლო ბაზარზე დავამკვიდროთ მშენებლობის მაღალი სტანდარტი და ყოველთვის ვუპასუხოთ მომხმარებლის სურვილებსა და ახალ გამოწვევებს. ჩვენ ვიყენებთ უმაღლესი ხარისხის ენერგოეფექტურ სამშენებლო მასალებს. შესაბამისად, ენერგოეფექტურ ბინაში ცხოვრებით, ჩვენი მომხმარებლები ნაკლებ ენერგიას ხარჯავენ, რაც პირდაპირ აისახება შემცირებულ გადასახადებზე. გარდა ამისა, ენერგიის დაზოგვით ჩვენ ვამცირებთ მის უარყოფით გავლენას გარემოზე და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას.

შპს მონოლით ჯგუფი აქტიურად ზრდის საქმიანობის მასშტაბებს, სამომავლოდ დაგეგმილია საქმიანობის არეალის გაზრდა როგორც კომპანიაში ასევე შვილობილ კომპანიაში

მართვა

კომპანიას მართავს დირექტორი თორნიკე მაისურაძე, მას აქვს საფინანსო სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება.

კომპანიის სტრუქტურა შედგება ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულადაა განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, რომლის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა კომპანიის წილის მფლობელებს (პარტნიორებს) წარმოადგენენ ფიზიკური პირები. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით. პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.

პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

ჩვენი გუნდი

ჩვენს კომპანიაში დასაქმებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშა მოსამსახურეები უზრუნველყოფენ შესრულებული სამუშაოების უმაღლეს ხარისხს. ჩვენ მრავალწლიანი გამოცდილება გვაქვს საინჟინრო ქსელების (ელექტრო და წყალმომარაგება, დაცვის სისტემები, ვენტილაცია-კონდიციონერება) მოწყობაში.

შპს მობოლით ჯგუფში დასაქმებულია დაახლოებით 40-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე კომპანიის მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს მონოლით ჯგუფი ცდილობს შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტის აზრით ფირმის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკ-ფაქტორებმა.

ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ასევე გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობები იმ მოკავშირე ქვეყნებთან, საიდანაც ხორციელდება პროდუქციის იმპორტი.

ბიზნესის მოგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ვალუტის კურსის მკვეთრმა ზრდამ. ჯგუფში შემავალი ყველა ფორმა სარგებლობს საბანკო სესხით, რომელიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში (დოლარში). კურსის ცვლილება ბუნებრივია გაზრდის საპროცენტო ხარჯს, რაც უარყოფითად აისახება წმინდა მოგების ციფრზე.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც უწესდება რკინის ნაწარმს. ხშირი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედებს ბაზრის სტაბილურობაზე, იწვევს მოთხოვნა-მიწოდების რყევებს და ართულებს ბიზნესის განვითარების პროგნოზს.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, კომპანია ორიენტირებულია დანერგოს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შეესაბამება მის საქმიანობას. მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის დასაწესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

კომპანია ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას, მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შეძენიდან მის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიას ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიას ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები, სამშენებლო მოთხოვნები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სამშენებლო კონტრაქტებით კლიენტებისგან მისაღები თანხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ექვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.


საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი


ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.


ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები

მიღებული შემოსავალი



საერთო მოგება





ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები


მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი

დირექტორი თორნიკე მაისურაძე

თარიღი: 23.09.2023

მალიანი სრული შემოსავალი

5,000,000
4,000,000
3,000,000
2,000,000
1,000,000



	მალიანი სრული შემოსავალი
■ 2022 წელი	637,213
■ 2021 წელი	4,261,268

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი

დირექტორი თორნიკე მაისურაძე

თარიღი: 23.09.2023